საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1585 2016 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

ზოგიერთი ღონისძიების გატარების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მიმდინარე წლის პირველი აგვისტოს მდგომარეობით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდების ჯამური მოცულობა შეადგენს 372 780 500 (სამას სამოცდათორმეტი მილიონ შვიდას ოთხმოცი ათას ხუთასი) ლარს, ხოლო აღნიშნული ფონდებიდან, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისი ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა - 368 309 071 (სამას სამოცდარვა მილიონ სამას ცხრა ათას სამოცდათერთმეტი) ლარს.

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამინისტროების მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) მოიძიოს რესურსი 96 300 000 (ოთხმოცდათექვსმეტი მილიონ სამასი ათასი) ლარის ოდენობით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ“ საქართველოს კანონით სხვადასხვა პროგრამული კოდებისათვის განსაზღვრული ასიგნებების შემცირების ხარჯზე, კერძოდ:

ა.ა) საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებები - 80 000 000 (ოთხმოცი მილიონი) ლარის ოდენობით;

ა.ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებები - 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობით;

ა.გ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებები - 4 800 000 (ოთხი მილიონ რვაასი ათასი) ლარის ოდენობით;

ა.დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებები - 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით;

ა.ე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებები - 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით;

ა.ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებები - 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით;

ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული 96 300 000 (ოთხმოცდათექვსმეტი მილიონ სამასი ათასი) ლარით გაზარდოს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული:

ბ.ა) საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები - 76 300 000 (სამოცდათექვსმეტი მილიონ სამასი ათასი) ლარით;

ბ.ბ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები - 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით.

3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2[1] პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების მე-2

პუნქტის „ა.ბ“, „ა.გ“ და „ა.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამინისტროები, ამავე პუნქტებში განსაზღვრული ოდენობების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად, უფლებამოსილი არიან, მიმართონ მათ კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მიღებული კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები.

4. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების წინადადებების საფუძველზე, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ეტაპობრივად გამოუყოს ასიგნებები:

ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რთვლის ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელებისათვის - 35 000 000 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარი, მათ შორის:

ა.ა) კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში მევენახეობის სფეროში დასაქმებულ ყურძნის ჩამბარებელ ფიზიკურ პირებზე სუბსიდიის გაცემის მიზნით - 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარი;

ა.ბ) ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, სს „აკურას“ კაპიტალის გასაზრდელად - 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი;

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამის დასაფინანსებლად - 35 000 000 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**